

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

- ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები წარმოადგენს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამებს.
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მიზანია სსიპ- დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიის შესაბამისად, თავდაცვის ძალების და ქვეყნის ერთგული სამსახურისათვის მოამზადოს უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, ეთიკური, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსი, უზრუნველყოს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადება თავდაცვის ძალების და ქვეყნის სამსახურისთვის, რომელთაც ექნებათ ოფიცრის წოდება.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა სრულად ფინანსდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.
- საბაკალავრო პროგრამებზე ჩაბარების შემთხვევაში იუნკერი თავდაცვის სამინისტროსთან აფორმებს 10-წლიან კონტრაქტს, რაც ითვალისწინებს 4-წლიან სწავლებასა და 6-წლიან სამხედრო საკონტრაქტო სამსახურს. სწავლის დასრულების შემდეგ იუნკერი იღებს ბაკალავრის ხარისხს შესაბამის სპეციალობაში და ოფიცრის პირველად სამხედრო წოდებას - "ლეიტენანტი".

მენეჯმენტი:

- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მენეჯმენტის კვალიფიცირებული სპეციალისტი, აკადემიური ხარისხით "მენეჯმენტის ბაკალავრი".
- პროგრამის ამოცანაა კურსდამთავრებულებმა შეიძინონ ხარისხიანი ცოდნა ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფუნქციონალურ მიმართულებებში - ადამიანური რესურსების, ოპერაციების, პროექტების, სტრატეგიულ მართვასა და ორგანიზაციულ ქცევასა და ლიდერობაში, ფინანსებში, მარკეტინგში, მიკრო და მაკრო ეკონომიკებში, მენეჯერულ აღრიცხვასა და სხვა დისციპლინებში.
- **მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა**- 30 მისაღები ადგილი. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:
- უცხო ენა;
ქართული ენა;
მათემატიკა (25 ადგილი) ან ისტორია (5 ადგილი).

ინფორმატიკა:

- ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ინფორმატიკის კვალიფიცირებული სპეციალისტი, აკადემიური ხარისხით "ინფორმატიკის ბაკალავრი".
- კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, თანამედროვე და ფუნდამენტურ მიმართულებებში ფართო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტი.
- ჩამოუყალიბოს თეორიულ და პრაქტიკულ კონტექსტში წარმოქმნილი პრობლემების გაგების, ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარები. გამოუმუშაოს პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა.
- **ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა**- 30 მისაღები ადგილი. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:
- უცხო ენა;
ქართული ენა;
მათემატიკა.

თავდაცვა და უსაფრთხოება:

- თავდაცვის და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კვალიფიცირებული სპეციალისტი, აკადემიური ხარისხით „თავდაცვისა და უსაფრთხოების ბაკალავრი“, რომელიც მიიღებს კომპლექსურ ცოდნას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ პროცესების შესახებ გლობალურ და ეროვნულ დონეზე.
- შეძლებს საგარეო პოლიტიკის და ეკონომიკის სფეროებში უსაფრთხოების ზოგადი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეძენას, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად. რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების საბაზისო უნარების განვითარებას პრაქტიკაში გამოყენებისთვის.
- **თავდაცვისა და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამა**- 40 მისაღები ადგილი. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:
- უცხო ენა;
ქართული ენა;
ისტორია (30 ადგილი) ან მათემატიკა (10 ადგილი).

მექანიკის ინჟინერია:

- მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მექანიკის ინჟინერიის კვალიფიცირებული სპეციალისტი, აკადემიური ხარისხით „ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიაში“, რომელიც შეძლებს შრომის თავისუფალ ბაზარზე არაპროგნოზირებად გარემოში განვითარებაზე ორიენტირებულ კონკურენტუნარიან პრაქტიკულ საქმიანობას.
- კურსდამთავრებულს მისცეს ფართო ცოდნა თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიების და მექანიკის ინჟინერიის ფუნდამენტური პრინციპების და მათი გამოყენების მიმართულებით.
- განუვითაროს მათ მენეჯერული, ლიდერული და გუნდური მუშაობის უნარები, შეძლონ პიროვნული განვითარება და თავისი შესაძლებლობების რეალიზება, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
- **მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა** - 20 მისაღები ადგილი. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:
- უცხო ენა;
ქართული ენა;
მათემატიკა.